

Share

0

More

Next Blog»

Create Blog Sign In

სამხრეთის კარიბჭე

მთავარი	ვინ ვართ ჩვენ	ავტორები	ფინანსური მხარდამჭერები	სასარგებლო ბმულები	კონტაქტი
---------	---------------	----------	-------------------------	--------------------	----------

მშენებლობის თანმდევი პრობლემები



სამშენებლო სამუშაოებზე ადგილობრივების უმნიშვნელო ნაწილი დასაქმდა.

პრეზიდენტის დაპირების მიუხედავად “მტკვარიჭესის” მშენებლობამ ადგილობრივების დასაქმების პრობლემა ვერ გადაჭრა. მშენებლობამ

ახლომდებარე სოფლებში ახალი პრობლემები გააჩინა.

პრეზიდენტის დაპირების ასრულების იმედი, რომ იმ სოფლებიდან, სადაც პროექტი ხორცილდება ადგილობრივები დასაქმდებოდნენ აღარავის აქვს.

“სანამ მშენებლობა დაიწყებოდა, სააკაშვილმა თათბირი ჩაატარა სოფელი ასი პროცენტით დასაქმდებო, მაგრამ ჩვენი სოფლიდან 5 კაციც არ მუშაობს”, - ამბობს საყუნეთის მკვიდრი 78 წლის შალვა ხაჩიძე.

ძებნა საიტზე

სიახლეების გამოწერა

- Posts
- Comments

რუბრიკები

- ანონსი (11)
- ახალი წელი (1)
- განათლება (157)
- ეკონომიკა (3)
- ეკონომიკა (149)
- კულტურა (35)
- ნიუსები (12)
- პოლიტიკა (138)
- რეგიონი (100)
- რეკლამა (5)
- რელიგია (6)
- რეპორტაჟი (8)
- საავტორო სვეტი (12)
- საახალწლო ნომრის

აგარაში მცხოვრები მეგი ქიმერიძე ამბობს, რომ პროექტზე არც მათი სოფლიდან დაუსაქმებიათ ვინმე: “სხვები მოიყვანს სამუშაოდ, არდა მთელი სოფელი დაუსაქმებელია”.

დასაქმების იმედი გადაეწურათ, მაგრამ ადგილობრივებს ახლა სხვა მოლოდინი აქვთ.

“თუკი რამე აშენდება კარგია. გამოუშვებენ ელექტროენერგიას და მოხმარდება ხალხს, იქნება გადასახადიც შეამცირონ”, - გვითხრა საყუნეთელმა ნონა ჩინჩალაძემ.

მისი სახლიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით, ჰესის მშენებლობა თითქმის ნახევარი წელიწადია მიმდინარეობს. თუმცა, არც მან და არც მისმა მეზობლებმა დღემდე არ იციან, რომ აქ გამომუშავებულ ელექტროენერგიას ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის გავლით ელექტროგადამცემი ხაზი ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაიტანს.

სამომავლოდ გაიფხულ ელექტროენერგიამდე, მშენებლობის გამო დაზიანებული საძოვრები აწუხებთ შალვა ხაჩიძესა და აბესალომ ბუხრიკიძეს.

“ნახშირია თუ ქვა არ ვიცი, მოსპეს ამხელა სათივებები. ზემოდან აყრიან გვირაბიდან გამოტანილ მასალას, ბალახი აღარ არის. რაც უფრო ღრმად შედიან გვირაბში, მით უფრო დიდ ფართობს აბინძურებენ”, - გვიამბობს საყუნეთელი აბესალომ ბუხრიკიძე.

პირუტყვის გამოკვების პრობლემა არ აქვთ, მაგრამ სასმელი და სარწყავი წყლის გარეშე დარჩენა ემუქრებათ სოფელ რუსთაველებს.

“სადაც გვირაბმა უნდა გაიაროს, იქაა ჩვენი სოფლის სასმელი წყლის მარაგი. სრულიად შესაძლებელია, გვირაბის გავლის შემდეგ წყალი დაიკარგოს”, - აცხადებს რუსთაველი ელგუჯა კედელაშვილი.

მისი განმარტებით, საფრთხე ელის სარწყავ წყალსაც: “მტკვარი უნდა შებრუნდეს და ის მარაგი მთლიანად იქით წავიდეს. მარაგი აღარ დარჩება საიმისოდ, რომ საქაჩით ამოვქაჩოთ”.

სოფელში დაახლოებით 200 ჰექტარი ირწყვება.

“მიწა თუ არ გაასველე, ვერაფერს მოიყვან. მითუმეტეს, აქვე პოლიგონია და მტვერი ყველაფერს ახმობს”, - გვიამბობს იაგო ჯუხარაშვილი.

ამჟამად რუსთავი სასმელი წყლით საკმარისად მარაგდება. მანამდე სოფელში წყალი უბან-უბან მოდიოდა.

“ტყიდან ჩამოვიყვანეთ და ისე გავანაწილეთ, რომ ყველას ჰქონოდა”, - გვიხსნის ბელა წიკლაური.

ადგილობრივები ფიქრობენ, რომ თუ სარწყავი და სასმელი წყლის პრობლემა იქნება, 150 კომლიანი ისტორიული სოფელი მალე მოსალხეობისგან დაიცლება.

კუროფები (3)

- საზოგადოება (124)
- სამართალი (28)
- სამშენებლო (1)
- სკოლა (1)
- სპორტი (23)
- უფლება გაქვს იცოდე (4)
- ფოტობრალდება (1)
- ფოტორეპორტაჟი (7)
- ჩვენი ფილმები (8)
- ჯანდაცვა (80)

არქივი

- ▶ 2012 (32)
- ▶ 2011 (339)
- ▼ 2010 (491)
 - ▶ December (45)
 - ▶ November (48)
 - ▶ October (51)
 - ▶ September (35)
 - ▼ July (49)

მშენებლობის
თანამდევითი
პრობლემები

ცვლილებები
კონსტიტუციაში

ჩაალაგეთ ჩემოდნები,
დაისვენეთ!

პედაგოგების ნაწილი
გამოცდაზე არ
გამოცხადდა

წვიმა - ერთადერთი
გამოსავალი

ნაწლავური
ინფექციების
სეზონი

სემინარიამ

“თუ მოსავალი ვერ მოვიყვანეთ და სასმელი წყალიც არ გვქონდა, სულ წავალ აქედან”, - აცხადებს ჯუხაშვილი.

რუსთაველების განცხადებით, მათ მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების თხოვნით, მუნიციპალიტეტის გამგეობას უკვე მიმართეს. თუმცა, აღნიშნულის შესახებ ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგებელმა დავით ივანიძემ ჩვენგან შეიტყო: “პირიქით ვიცი, ადგილობრივებს უხარიათ როდის დაიწყება მშენებლობა, რომ დასაქმდნენ”.

არასამთავრობო ორგანიზაცია “მწვანე ალტერნატივას” საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პროგრამის კოორდინატორს დავით ჭიპაშვილს ექვება, რომ მშენებლებმა რუსთაველების აზრი გაითვალისწინონ: “სამწუხაროდ, არსებული კანონმდებლობა საქართველოში მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინებას სახელმწიფოს ნამდვილად არ ავალდებულებს. ასანამ აქ მშენებლობა არ დაწყებულა, ეს პრობლემა წინ არასამთავრობო ორგანიზაციებმა და მედიამ უნდა წამოსწიოს”.

გაჩენილი პრობლემები რამდენად მოგვარდება მშენებლობის დასრულებამდე და კიდევ გაჩნდება თუ არა ახალი, მომავალი გვიჩვენებს. თუმცა, რა შედეგები მოჰყვება საცხე-ჯავახეთში დაგეგმილი დანარჩენი 11 ჰესის მშენებლობას დღეისათვის ალბათ სამოქალაქო საზოგადოებისათვის ინტერესს მოკლებული არც ეს უნდა იყოს.
თამუნა უჩიძე, ახალციხე

на Wednesday, July 28, 2010



Recommend this on Google

რუბრიკა ეკონომიკა

No comments:

Post a Comment

დატოვე კომენტარი

საზოგადოებას ანგარიში ჩააბარა

ალერგია - სეზონური და ქრონიკული წამება

საზაფხულო ბანაკი ამოქმედდა

შესაძლებლობა სოციალურად დაუცველ მოსწავლეებს

არასაკლესიო დავა ეკლესიის შესახებ

ფესტივალი “ჯავახეთის გაზაფხული”

რატომ ირღვევა ოჯახები?

GFSIS-ის პირველი პროექტის დახურვა

ვაჰან ტერიანის იუბილე

წელს ხორბლის მცირე მოსავალია

სავალალო ცვლილება

ხუთი წლის ბავშვები სკოლაში

დახმარება ფერმერებს

მასწავლებელთა სერთიფიცირება დაიწყო

დახმარების მოლოდინში

როგორ ვებრძოლოთ ვარიკოზს

ბევრი პროგრამა და შეუსაბამო შედეგი

ოქროს გარგარი

ახალქალაქელები ზაფხულში ვერ დაისვენებენ